



სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ჯვარი-წყალტუბოს ელექტრო გადამცემი ხაზის
მშენებლობის პროექტის
13.5 კმ-იანი მონაკვეთის ცვლილება
(სოფელ ბაღდის მიმდებარე მონაკვეთი)

სკრინინგის ანგარიში

ანგარიში მომზადებულია:
„დგ კონსალტინგის“ მიერ

2022 წლის აგვისტო

DG Consulting Ltd

Address: 10, Mirza Gelovani Street, 0160, Tbilisi, Georgia; Reg No 205 280 998;
Tel: +995 322 380 313; +995 599 500 778; e-mail: dgirgvliani@gmail.com

შინაარსი

1. შესავალი 3	
2. ტექნიკური პროექტის აღწერა.....	6
2.2. ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი დერეფნის აღწერა.....	9
2.3. შეცვლილი პროექტის ტექნიკური მახასიათებლები.....	12
2.3.1. მანძილები საცხოვრებელ სახლებამდე.....	14
2.4. სამუშაოების შესრულების გრაფიკი.....	18
2.5. პროექტისათვის საჭირო ტერიტორიის მფლობელობის საკითხები	18
3. პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლო გარემოსდაცვითი ზემოქმედებების შეფასება	19
4. დასკვნა	26
დანართები:	28

ცხრილები

ცხრილი 1.1.1.საკონტაქტო ინფორმაცია	5
ცხრილი 2.1.1.შეცვლილ დერეფანში განლაგებული ანძების კოორდინატები	8
ცხრილი 3.1.1.პროექტის შედეგად შესაძლო გარემოსდაცვითი ზემოქმედებების შეფასება	19

ნახაზები

ნახ. 2.1.1 ჯვარი-წყალტუბოს ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი მონაკვეთის საწყისი და საბოლოო წერტილები	6
ნახ. 2.1.2 ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი და მისი შეცვლილი მონაკვეთი.....	7
ნახ. 2.2.1 შეცვლილი პროექტის საწყისი 4კმ-იანი მონაკვეთი სოფელ დიდ ინჩხურთან. საბაზისო პროექტის მარშრუტი გადიოდა მთის ზედა ნაწილში	10
ნახ. 2.2.2 შესწორებული დერეფნის ბოლო ნაწილი სოფელ მეორე და მესამე ბაღდასთან და გადასვლა სოფელ ლესულუხესკენ.....	11
ნახ. 2.3.1 დაცილება საცხოვრებელი სახლიდან 68-69 ანძების მონაკვეთში.....	15
ნახ. 2.3.2 დაცილება საცხოვრებელი სახლიდან 79-80 ანძების მონაკვეთში.....	15
ნახ. 2.3.3 დაცილება საცხოვრებელი სახლიდან 97-98 ანძების მონაკვეთში.....	16
ნახ. 2.3.4 დაცილება საცხოვრებელი სახლიდან 91-93 ანძების მონაკვეთში სოფელ პატარა თამაკონთან	17

1. შესავალი

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) წარმოადგენს საქართველოში არსებული მაღალი ძაბვის გადაცემის ქსელისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მფლობელსა და ოპერატორს, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის მასშტაბით წარმოებული და შემოტანილი ენერჯის გადაცემაზე ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში.

სსე პასუხისმგებელია 4,357 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზების და 90 ქვესადგურის ოპერირებაზე საქართველოში. სსე არ აწარმოებს ელექტროენერჯის და უშუალოდ არ აწვდის მას მომხმარებელს. ის მხოლოდ გადასცემს ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებს, მსხვილ საწარმოებს და სხვა ქვეყნებს. გამანაწილებელი კომპანიები, თავის მხრივ, მიაწვდიან ელექტროენერჯის მომხმარებლებს.

სსე-ის პასუხისმგებლობაში შედის ქვეყნის ელექტროსისტემის კოორდინირება და ელექტროენერჯაზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსირება, რათა უზრუნველყოს ენერჯის უწყვეტი და სანდო მიწოდება. სსე აქტიურად მუშაობს ელექტროენერჯის გადაცემის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, არსებული ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქცია-შეკეთების და ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის გზით.

სსე, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ახორციელებს ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტებს, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ჯვარი - წყალტუბოს 77 კმ სიგრძის 500 კილოვოლტიანი (კვ) ელექტროგადამცემი ხაზის და წყალტუბოში ახალი 500 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობისა და ოპერირების პროექტი. აღნიშნული პროექტისათვის 2018 წელს ჩატარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევა, მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომლის საფუძველზეც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების გათვალისწინებით ჩატარდა საზოგადოებრივი განხილვა. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში გამოქვეყნებულ იქნა სსე-სა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდებზე, ანგარიშის ამობეჭდილი ვერსიები განთავსებული იყო ყველა იმ მუნიციპალიტეტში, რომელიც იკვეთება საპროექტო ხაზით. აღსანიშნავია, რომ განხილვისთვის გასაჯაროებული იყო ანგარიშის როგორც ქართული, ასევე ინგლისური ვერსიები. ჩატარდა საზოგადოებრივი განხილვის 2 სესია, რომელთა შედეგებიც შეტანილი იქნა გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საბოლოო დოკუმენტში. შემდგომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2020 წლის 3 თებერვალს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიამ თხოვნით მიმართა სახელმწიფო ელექტროსისტემას, რომ გაეთვალისწინებინა რეგიონში ტურიზმის

განვითარების შესაძლებლობები და შეეცვალა ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტი ისეთნაირად, რომ გადამცემ ხაზს არ გაევილო მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტების კალუს, ტობასა და ონორიეს ჩანჩქერების, ასევე ბალდის კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე.

დამატებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2021 წლის 10 ნოემბერს თხოვნით მიმართა საქართველოს სახელმწიფო ენერჯისტიკას. მერიის ინფორმაციით, სოფ. მეორე ბალდაში, ე.წ „კარობის“ დასახლებაში ელექტროგადამცემი ხაზი კვეთს კერძო საკარმიდამო ნაკვეთებს, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ადგილობრივი მოსახლეობა. წინააღმდეგობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოსახლეობას გაშენებული აქვს ვენახები, ხეხილის ბაღები; გარდა ამისა, მდინარის ამ ნაწილში მოწყობილია საბანაო ადგილი, რომელიც ისტორიულად ცნობილია, როგორც დადიანების საბანაო. ამიტომ, სოფელს ხშირად სტუმრობენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტები. ტურისტული ობიექტი განსაკუთრებით პოპულარულია ზაფხულის პერიოდში. ამ ადგილებში მუნიციპალიტეტი და ადგილობრივი მოსახლეობა გეგმავს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის.

სსე-მ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებები და აღნიშნულ მონაკვეთში შეეცვალა 500 კვ ჯვარი-წყალტუბოს -ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტი, რომლის მიხედვითაც, ელექტროგადამცემი ხაზის 13.5 კმ-იანი მონაკვეთი გადატანილ იქნა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, მთლიანი ნაწილიდან - კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე. პროექტის ცვლილებების მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზი გაივლის დასახლებული უბნების სამხრეთ-დასავლეთით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. შედეგად, ეგზ დერეფანი მოსცილდა ტყით დაფარულ მთის ფერდობებს, ბიომრავალფეროვნების კუთხით სენსიტიურ მონაკვეთს (ზურმუხტის ქსელით დაცულ ტერიტორიებს), ტურისტულ და ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტებს და გადაინაცვლა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, სამოვრებზე და მეორადი მცენარეულობით დაფარულ უბნებზე.

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში აღწერს შეცვლილი მონაკვეთს, ადარებს მას უკვე 2018 წელს განხილულ მონაკვეთს და ასახავს მოსალოდნელ ცვლილებებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

ზემოთ აღნიშნული კორექტირებული პროექტის მიხედვით, ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე მცირდება, თუმცა იზრდება პროექტის ზემოქმედება სოციალურ გარემოზე. შესაბამისად, იცვლება ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობები, ეს კი საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. გამომდინარე აღნიშნულიდან, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საკონსულტაციო კომპანია „დგ კონსალტინგის“

მონაწილეობით მოამზადა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში. საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 1.1.1.-ში.

ცხრილი 1.1.1.საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის განმახორციელებელი კომპანია	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საიდენტიფიკაციო კოდი	204 995 176
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, 0105, ნ. ბარათაშვილის ქ. 2
ელ. ფოსტა	Nino.erkomaishvili@gse.com.ge
საკონტაქტო პირი	ნინო ერქომაიშვილი
დაგეგმილი საქმიანობის დასახელება	500 კვ ჯვარი-წყალტუბოს ეგხ სამშენებლო პროექტის 13.5 კმ-იანი მონაკვეთის ცვლილება (სოფელ ბაღდის მიმდებარე მონაკვეთი)
დაგეგმილი საქმიანობის ტიპი	500 კილოვოლტი 13.5 კმ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა
გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ორგანიზაცია	შპს „დგ კონსალტინგი“ 205 280 998
დირექტორი	დავით გირგვლიანი
ელ. ფოსტა	dgirgvliani@gmail.com
საკონტაქტო ტელეფონი	599 500 778

2. ტექნიკური პროექტის აღწერა

ჯვარი-წყალტუბოს 500კვ საჰაერო გადამცემი ხაზის სამშენებლო პროექტი წარმოადგენს საქართველოს ელექტროსისტემის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილს და მიზნად ისახავს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესებას, კერძოდ მისი საიმედოობის ზრდას, ენერჯის მაგენერირებელი სადგურებიდან ელექტროენერჯის ევაკუაციას, მიწოდებას გამანაწილებელი ქსელებისთვის და მომხმარებლებისთვის და ქსელში არსებული დანაკარგების მინიმიზაციას. პროექტის ტექნიკური ნაწილი მომზადდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დაკვეთით, წინასაინჟინრო და საინჟინრო კვლევები შესრულებულია გერმანული კომპანია „Fichtner“-ის მიერ, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია მომზადდა 2018 წელს კომპანია „დგ კონსალტინგის“ მიერ. პროექტზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით N 2-416, 2019 წლის 16 მაისი.


ნახ. 2.1.2-ზე წარმოდგენილია რუკა, სადაც ნაჩვენებია ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის ადგილმდებარეობა საბაზისო პროექტის მიხედვით და, ასევე, ნაჩვენებია შეცვლილი მონაკვეთი.

სულ ჯვარი წყალტუბოს ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი ითვალისწინებდა 77 კმ სიგრძის ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობას, რომელიც აკავშირებს წყალტუბოს მიმდებარედ დაგეგმილ ქვესადგურს სოფელ ჯვართან არსებულ ქვესადგურთან. მარტვილის მუნიციპალიტეტის თხოვნის შესაბამისად, სოფელ ბალდის მიმდებარედ მოხდა ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ცვლილება, რომელის ითვალისწინებს ახალ 13.5 კმ სიგრძის დერეფანს. შეცვლილი მონაკვეთის საწყისი სდა საბოლოო წერტილების კოორდინატები ცხრილშია წარმოდგენილი.

ნახ. 2.1.1 ჯვარი-წყალტუბოს ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი მონაკვეთის საწყისი და საბოლოო წერტილები

დასახელება	X კოორდინატი, მეტრი	Y კოორდინატი, მეტრი
შეცვლილი მონაკვეთის საწყისი წერტილი ანძა 66	289431.80	4699920.81
შეცვლილი მონაკვეთის საბოლოო წერტილი ანძა 108	283949.69	4711748.18

საპროექტო ანძების განთავსების კოორდინატები GWS-84 UTM სიტემაში ზონა 38 წარმოდგენილია ცხრილი 2.1.1-ში.



ნახ. 2.1.2 ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი და მისი შეცვლილი მონაკვეთი

ცხრილი 2.1.1. შეცვლილ დერეფანში განლაგებული ანძების კოორდინატები

ანძის ნომერი №	X	Y
66	289431.80	4699920.81
67	289212.45	4700359.79
68	288982.25	4700820.48
69	288826.74	4701131.68
70	288655.69	4701349.69
71	288492.11	4701558.18
72	288263.71	4701849.27
73	288035.32	4702140.36
74	287800.75	4702439.33
75	287567.92	4702736.07
76	287397.39	4702921.52
77	287258.63	4703072.42
78	287004.80	4703348.46
79	286842.00	4703525.50
80	286429.29	4703806.84
81	286078.12	4704046.22
82	285826.10	4704218.02
83	285549.30	4704406.71
84	285289.02	4704584.14
85	284995.69	4704784.09
86	284770.97	4704937.28
87	284796.05	4705219.20
88	284817.32	4705458.26
89	284844.31	4705761.63
90	284695.00	4706168.00
91	284542.46	4706545.24
92	284424.52	4706836.89
93	284641.14	4707061.79
94	284492.39	4707359.88
95	284341.57	4707662.11
96	284296.38	4708041.66
97	284269.84	4708264.52
98	284164.77	4708692.37
99	284061.15	4709114.32
100	284422.13	4709348.93
101	284677.86	4709515.14
102	284908.35	4709664.94
103	284807.91	4709932.40
104	284619.32	4710433.24
105	284505.10	4710738.74
106	284061.00	4711134.12
107	284026.49	4711324.50
108	283949.69	4711748.18

2.2. ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი დერეფნის აღწერა


საბაზისო პროექტის მიხედვით, ჯვარი-წყალტუბოს ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტი ბალდის მიმდებარე ტერიტორიაზე მთიან ზონაში გაივლიდა, გადადიოდა ტყით დაფარულ ტერიტორიებზე, გაივლიდა ბალდის კანიონის მიმდებარე უბანს და გადადიოდა სოფელ თამაკონის მიმდებარედ. შეცვლილი პროექტის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადატანილია არსებული მონაკვეთის სამხრეთ-დასავლეთით, ის გვერდს უვლის სოფელ მეორე ბალდას, გადის დასახლებული უბნის დასავლეთით, სოფელ პატარა თამაკონის მიმდებარედ და შემდგომ სოფელ მესამე ბალდასთან უბრუნდება არსებულ დერეფანს სოფელ ლესულუხემდე.

შეცვლილი მონაკვეთის პირველი ნაწილი, იწყება სოფელ დიდი ინჩხურის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, გვერდს უვლის სოფლის დასახლებულ ნაწილს და გადის აღმოსავლეთით განლაგებული მთის ფერდის ქვედა ნაწილში, ნაწილობრივ ფარავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და აღწევს სოფელ პატარა ინჩხურამდე. აღნიშნულ მონაკვეთზე საბაზისო პროექტი ითვალისწინებდა ელექტროგადამცემი ხაზის აყვანას მთიან ზონაში, სადაც ის მთლიანად გაივლიდა ტყით დაფარულ ტერიტორიას (იხ. ნახ. 2.2.1).


მთის ფერდობზე აღნიშნული პირველი 4 კმ-ის შემდეგ, შეცვლილი დერეფანი გაივლის არსებული 500 კვ ხაზის პარალელურად, მიემართება სოფელ გაჭედისკენ, გადადის ტყით დაფარულ მონაკვეთს, კვეთს მთის ფერდობის თხემურ ნაწილს და ეშვება მდინარისკენ. მდინარის გადაკვეთის შემდეგ, გადაკვეთს სოფელ პატარა თამაკონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. შემდგომ ელექტროგადამცემი ხაზი მკვეთრად უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, სადაც მცირე მონაკვეთში ისევ იცვლის მიმართულებას, დასავლეთიდან გვერდს უვლის სოფ. მესამე ბალდის ტერიტორიას.

დერეფანი გადის ტყით დაფარულ ნაწილზე, რომელიც დაახლოებით 2.3კმ სიგრძისაა. მდინარის კვეთის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 300 მეტრს, ანძები განლაგებულია მაღალ ფერდობზე და მდინარის ჭალაში. აღნიშნულ მონაკვეთზე ანძები განლაგებულია მდინარის კალაპოტის მოცილებით მაღალ ტერასაზე, ხოლო მეორე მხრიდან ანძა დადგმული იქნება მდინარის მეორე ტერასაზე.

მდინარე აბაშის კვეთის შემდეგ, შეცვლილი საპროექტო მარშრუტი გადის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე რომელიც სოფელ პატარა თამაკონს ეკუთვნის. გადადის სოფელ მესამე ბალდის სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, კვეთს საავტომობილო გზას და ადის მთის ფერდზე, სადაც ისევ ტყის მასივში და უერთდება საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ დერეფანს. სულ ალტერნატიული მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 13.5 კმ-ს. აღნიშნული კორექტირებული მონაკვეთის ნაწილი გადის კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების უბანს, ასევე, მეჩხერი ბუჩქნარით და ტყის ფრაგმენტებით დაფარულ უბანს. ბოლო მონაკვეთი კი გადის ხშირი ტყით დაფარულ ფერდობს, სადაც გათვალისწინებულია ხე-მცენარეების სანიტარული ჭრა.



ნახ. 2.2.1 შეცვლილი პროექტის საწყისი 4კმ-იანი მონაკვეთი სოფელ დიდ ინჩხურთან. საბაზისო პროექტის მარშრუტი გადიოდა მთის ზედა ნაწილში



ნახ. 2.2.2 შესწორებული დერეფნის ბოლო ნაწილი სოფელ მეორე და მესამე ბაღდასთან და გადასვლა სოფელ ლესულუხესკენ

სულ, როგორც უკვე აღინიშნა, შეცვლილი მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 13.5 მ-ს.

2.3. შეცვლილი პროექტის ტექნიკური მახასიათებლები

წარმოდგენილი ცვლილებები, რომლებიც ეგზ ჯვარი-წყალტუბოს პროექტში იქნა განხორციელებული, ითვალისწინებს მხოლოდ დერეფნის ცვლილებას, შესაბამისად საბაზისო პროექტთან შედარებით, არ იცვლება პროექტის ტექნიკური მახასიათებლები, ანძებისა და საძირკვლების ტიპი იგივეა რაც საბაზისო პროექტში, მათი სპეციფიკაცია განსაზღვრულია საინჟინრო, გეოლოგიური და რელიეფის თავისებურებებით, შესაბამისად, რაიმე ცვლილება აღნიშნული კუთხით არ მოხდება.

ახალ მონაკვეთზე გამოყენებული იქნება იგივე ტიპის სადენები და გვარლები, იზოლატორები და დამხმარე საშუალებები, რომელიც საბაზისო პროექტში იყო განსაზღვრული.

ასევე, არ იცვლება ხაზის დერეფნის გაბარიტები, დაცვისა და მცენარეულობის კონტროლის ზონები იგივეა, რაც განხილული იყო საბაზისო პროექტში.

მცენარეულობის გაწმენდის კუთხით, შემოთავაზებული მარშრუტი მოითხოვს ხე-მცენარეების გაცილებით ნაკლებ ჭრას. თუ საბაზისო პროექტის მიხედვით ელექტროგადამცემი ხაზი გადიოდა ე.წ. ბუნებრივ ჰაბიტატებში, რომელიც ტყის მასივებითაა წარმოდგენილი, პროექტის შეცვლილი მონაკვეთი ძირითადად გადის უკვე ათვისებულ ტერიტორიებზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და სამოვრებზე. ტერიტორიის მცირე ნაწილი გადის ტყიან მასივზე სადაც ხე-მცენარეებისგან გაწმენდის სამუშაოების მოცულობა იგივეა, რაც საბაზისო პროექტით იყო გათვალისწინებული ტყის დაფარული მონაკვეთებისათვის.

გაცილებით მცირდება ტყიან ზონაში მისასვლელი გზების მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება, რომელიც საბაზისო პროექტით იყო გათვალისწინებული, შეცვლილი მარშრუტი აღარ საჭიროებს დერეფანში დაგეგმილ ანძებზე მისასვლელი გზების მოწყობას, რადგან ისინი, პრაქტიკულად არსებობს. შესაბამისად, მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოები მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო მათი ზემოქმედება გარემოზე სავარაუდოდ შემცირდება მინიმუმ 70%-ით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მისასვლელი გზების აღდგენა პირვანდელ დონემდე ტყიან ზონაში მშენებლობის დასრულების შემდეგ, პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო შემოთავაზებული შეცვლილი დერეფნის შემთხვევაში მოხდება ანძებთან მისასვლელი გზების პრაქტიკულად სრულად აღდგენა და, შესაბამისად, ზემოქმედება გარემოზე, მცენარეულ საფარზე, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე გაცილებით ნაკლები იქნება.

ასევე, მნიშვნელოვნად მცირდება ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, რადგან ბიომრავალფეროვნების სიმდიდრე შემოთავაზებულ შეცვლილ დერეფანში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ტყის ჰაბიტატებით დაფარულ ტერიტორიაზე. შემოთავაზებული ცვლილების უდიდეს ნაწილზე, კერძოდ ათვისებულ ტერიტორიებზე, ბუნებრივი ბიომრავალფეროვნება პრაქტიკულად აღარ არის შემორჩენილი, შესაბამისად, ზემოქმედებაც მნიშვნელოვნად მცირდება.

ასევე, მცირდება ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე. საბაზისო პროექტის დერეფანი გადიოდა ზურმუხტის ქსელით დაცული ტერიტორიების (სამეგრელო 1 და სამეგრელო 2) უშუალო სიახლოვეს. რაც შეეხება ცვლილების ფარგლებში შერჩეულ დერეფანს, ის გაცილებით სცილდება ბუნებრივ ლანდშაფტებს და 90%-ით გაივლის მოდიფიცირებული ლანდშაფტების ფარგლებში, სადაც ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე გაცილებით ნაკლებია.


რაც შეეხება სოციალურ სფეროზე ზემოქმედებას, ის მნიშვნელოვნად იზრდება. შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად იზრდება ზემოქმედება კერძო მფლობელობაში არსებულ ნაკვეთებზე, შესაბამისად, საჭირო იქნება განსახლებისა და საცხოვრებელი გარემოს აღდგენის უზრუნველყოფა. შესწორებული პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის თხოვნა, რომ ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი მოცილებული ყოფილიყო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ მაღალი პოტენციალის მქონე უბნებიდან და გადასულიყო უფრო ურბანულ გარემოში. კორექტირებულ მონაკვეთზე აღნიშნული მოთხოვნა შესრულდა - ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტი შეირჩა მაქსიმალურად შორს საცხოვრებელი სახლებიდან და მან გაიარა არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და სამოვრებზე. სოციალური ზემოქმედების მინიმიზაციისა და მოსახლეობაზე მიყენებული ზეგავლენის კომპენსირებისათვის გამოყენებული იქნება პროექტისათვის მომზადებული განსახლებისა და საცხოვრებელი გარემოს აღდგენის ჩარჩო-დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოხდება საჭირო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და სერვიტუტით დატვირთვა. რაც შეეხება მოსახლეობაზე ზემოქმედება გარემოსდაცვითი დამაბინძურებლებით, პროექტი სრულად ითვალისწინებს იმ გარემოსდაცვითი ნორმების დაცვას, რომლებიც გამოიყენება აღნიშნული პარამეტრების ელექტროგადამცემი ხაზებისათვის.

ახალი საპროექტო დერეფნის კორექტირებისას შესაძლებელი იყო, რომ გაზრდილიყო ზემოქმედების რისკი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე. შესაბამისად, მარშრუტის შერჩევის პროცესში შესწავლილ იქნა ინფორმაცია ამ რეგიონში არსებული ცნობილი ძეგლების შესახებ. დადასტურდა, რომ ახალი სამშენებლო დერეფანი არ შედის არცერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და ობიექტის ფიზიკური დაცვის ზონაში და არ ფარავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ლანდშაფტური და ვიზუალური


ზემოქმედების დაცვის ზონებს. რაც შეეხება მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს, ასეთი აღმოჩენების რისკი, ცხადია, არსებობს, და ამ რისკების მართვა შესაძლებელია საქართველოს შესაბამის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებით.

2.3.1. მანძილები საცხოვრებელ სახლებამდე


საპროექტო სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებული იყო სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკითხები, კერძოდ ზემოქმედება საცხოვრებელ სახლებზე. პროექტირებისას სრულად იქნა დაცული მოთხოვნები ელექტროგადამცემი ხაზების განთავსების მანძილებზე და შეცვლილი დერეფანი ასეთნაირად დაიგეგმა, რომ დაცილებები საცხოვრებელი სახლებიდან მაქსიმალური ყოფილიყო. ქვემოთ წარმოდგენილ ნახაზებზე წარმოდგენილია ტიპური მონაკვეთები, სადაც ელექტროგადამცემი ხაზი გადის საცხოვრებელ სახლებთან ახლოს.




ნახ. 2.3.1 დაცილება საცხოვრებელი სახლიდან 68-69 ანძების მონაკვეთში



ნახ. 2.3.2 დაცილება საცხოვრებელი სახლიდან 79-80 ანძების მონაკვეთში



ნახ. 2.3.3 დაცილება საცხოვრებელი სახლიდან 97-98 ანმების მონაკვეთში



ნახ. 2.3.4 დაცილება საცხოვრებელი სახლიდან 91-93 ანძების მონაკვეთში სოფელ პატარა თამაკონთან

2.4. სამუშაოების შესრულების გრაფიკი

შემოთავაზებული მარშრუტის ცვლილება არ ცვლის პროექტის განხორციელების ვადებს. სამშენებლო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია მაქსიმუმ 3-წლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს ელექტროგადამცემის ხაზის მშენებლობის პროექტის სრულად განხორციელება, მათ შორის, გარემოს აღდგენის ქმედებების კუთხითაც, რაც პროექტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2.5. პროექტისათვის საჭირო ტერიტორიის მფლობელობის საკითხები

სსე პასუხისმგებელი იქნება 500კვ-იანი გადამცემი ხაზის და ქვესადგურის მშენებლობასა და ოპერირებაზე და ასევე შეისყიდის პროექტისთვის საჭირო მიწას. სსე ქირაობს ერთ კონტრაქტორს ელექტროგადამცემი ხაზის საბოლოო საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად და ასაშენებლად და მეორე კონტრაქტორს, ქვესადგურის საბოლოო დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად და ასაშენებლად.

შეცვლილი მონაკვეთის მშენებლობა განხორციელდება ძირითადი საბაზისო პროექტის განმახორციელებელი კონტრაქტორის მიერ .

3. პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლო გარემოსდაცვითი ზემოქმედებების შეფასება

შემოთავაზებული 13,5 კმ ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი შესაძლო გარემოსდაცვითი ზემოქმედებების შეფასება განხილულ იქნა საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის„ მე-7 მუხლის კრიტერიუმებთან შესაბამისობაში.

ცხრილი 3.1.1 მოიცავს ინფორმაციას 500კვ ჯვარი-წყალტუბოს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფარგლებში, ბალდის კანიონთან შეცვლილი 13,5კმ მარშრუტის ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილი გარემოსდაცვითი რისკების შეფასებას..

ცხრილი 3.1.1. პროექტის შედეგად შესაძლო გარემოსდაცვითი ზემოქმედებების შეფასება

	საქმიანობის მახასიათებლები:	გარემოსდაცვითი რისკები		მოკლე აღწერა
		კი	არა	
1.0. 2 საქმიანობა				
1.1	არსებული და/ან დაგეგმილი აქტივობებიდან კუმულატიური ზემოქმედება		+	შემოთავაზებული ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი 13.5 კმ მონაკვეთი გადის არსებული 500კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის პარალელურად დაახლოებით 4.5 კმ-ის სიგრძეზე. მანძილი არსებულ ხაზსა და დაპროექტებულ ხაზს შორის შეადგენს დაახლოებით 300 მეტრს, თუმცა ერთ წერტილში უახლოვდება მას 150 მეტრ მანძილამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კუმულაციური ზემოქმედების სიდიდე უმნიშვნელოდ იზრდება საწყის საპროექტო მარშრუტთან შედარებით, რადგან საწყისი პროექტით გათვალისწინებული ხაზი ასევე პარალელურად მიუყვებოდა არსებულ ხაზს, თუმცა მანძილი მათ შორის შეადგენდა 700-800 მეტრს. სხვა პარამეტრებით კუმულატიური ზემოქმედების ზრდას ადგილი არ აქვს.
1.2	ბუნებრივი რესურსების გამოყენება (კონკრეტულად, წყალი, ნიადაგი, მიწა, ბიომრავალფეროვნება)		+	შემოთავაზებული პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი რესურსების გამოყენებას. მიწის რესურსების გამოყენების კუთხით ანძების რაოდენობა პრაქტიკულად არ იზრდება (საწყის პროექტში საჭირო იყო 41 ანძის დადგმა, ხოლო მოდიფიცირებულ პროექტში გათვალისწინებულია 39 ანძის მონტაჟი). მცირდება მშენებლობისათვის საჭირო დროებითი ზემოქმედების არეალი, რადგან საწყისი პროექტის შემთხვევაში ანძების

	საქმიანობის მახასიათებლები:	გარემოს დაცვითი რისკები		მოკლე აღწერა
		კი	არა	
				<p>განთავსება ხდებოდა მთიან ზოლში, რომელიც დაფარული იყო ტყით, შესაბამისად საჭირო იყო დაახლოებით 15კმ მისასვლელი გზების გაყვანა და ასევე ანძების განთავსებისათვის გაცილებით დიდი მოედნის მოსწორება-გასუფთავება.</p> <p>გაცილებით მცირდება ტყის რესურსებზე ზემოქმედება, არ იქნება საჭირო მისასვლელი გზების მოწყობა, რადგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მისასვლელი გზები უკვე არსებობს, შესაბამისად ტყის მონაკვეთზე ზემოქმედება შემცირდება მინიმუმ 90%-ით. შესაბამისად, პირველად პროექტში დაახლოებით 90,000 მ² ხე-ტყის გაჩეხვის ნაცვლად, მისასვლელი გზებისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 9,000 მ²-ის ან ნაკლები ფართობის გაჩეხვა. ამავე დროს პირველად პროექტში გასაჩეხი ფართობი დაფარული იყო ტყის მასივით, ხოლო ცვლილებების შედეგად მისასვლელი გზების მოწყობა ხდება საძოვრებზე და მეორადი მცენარეულობით დაფარულ ფართობებზე. ასევე მნიშვნელოვნად მცირდება ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში არსებული ხე-მცენარეების მოჭრის საჭიროება, პირველადი პროექტი გადიოდა ხშირი ტყით დაფარულ ფართობზე, ხოლო შეცვლილი პროექტი გადის ძირითადად სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე და მცირე ზომის ფრაგმენტირებულ, მეორადი ხე-მცენარეებით დაფარულ ტერიტორიაზე.</p> <p>ბიომრავალფეროვნების კუთხით ზემოქმედება მნიშვნელოვნად მცირდება. პირველადი პროექტი ითვალისწინებდა ელექტროგადამცემი ხაზის გატარებას ტყით დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც მიუხედავად ანთროპოგენული ზემოქმედებისა, ბიომრავალფეროვნება გაცილებით უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, ვიდრე უკვე ათვისებულ ტერიტორიებზე. შეიძლება ითქვას რომ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება გაცილებით ნაკლებია კორექტირებული პროექტის შემთხვევაში. აქ იგულისხმება როგორც ფლორისტული</p>

	საქმიანობის მახასიათებლები:	გარემოს დაცვითი რისკები		მოკლე აღწერა
		კი	არა	
				<p>ბიომრავალფეროვნება, ასევე ფაუნაზე ზემოქმედება. ფლორის მხრივ, შემოთავაზებულ კორექტირებულ დერეფანში ბუნებრივი მცენარეულობით დაფარული ფართობები ძალიან მცირეა და არ აღემატება ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ფართობების 3%-ს მაშინ როდესაც პირველადი პროექტის შემთხვევაში, დერეფნის უდიდესი ნაწილი გადიოდა ტყით დაფარულ ტერიტორიაზე. ფაუნის მხრივ, ზემოქმედება ასევე მცირდება, გაცილებით მცირე იქნება ზემოქმედება ზოოლოგიაზე, ხოლო ზემოქმედება ფრინველებზე მცირედ შემცირდება, რადგან ფრინველთა რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყის უბნებთან შედარებით ნაკლებია. ნიადაგზე ზემოქმედებაც მცირდება შემოთავაზებული ცვლილებების შემთხვევაში - როგორც ადრე იყო აღნიშნული, მისასვლელი გზის გაყვანით გამოწვეული ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე გაცილებით შემცირდება. ასევე, შემცირდება ნიადაგზე ზემოქმედება ანძების განთავსების ადგილებზე, რადგან მცირდება ანძების რაოდენობა, შესაბამისად, მცირდება ანძის განთავსებისთვის საჭირო ფართობი, ასევე განახლებულ მარშრუტში მოხვედრილი ანძების განთავსების ადგილების ნაწილი ხვდება უკვე ზემოქმედების ქვეშ მყოფ დეგრადირებულ ნიადაგებში, შესაბამისად, ზემოქმედების ხარისხი გაცილებით ნაკლებია კორექტირებული პროექტის შემთხვევაში.</p> <p>რაც შეეხება სხვა ბუნებრივ რესურსებს, პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე ან წყლის რესურსებზე არ იცვლება. პროექტის ზემოქმედება ბუნებრივ რესურსებზე ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი არ არის.</p>
1.3	ნარჩენების წარმოქმნა		+	<p>პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე ნარჩენების მნიშვნელოვანი ან შესამჩნევი რაოდენობის წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება ანძების განთავსების ადგილზე ნიადაგის ზედაპირული ფენის მოხსნას და</p>

	საქმიანობის მახასიათებლები:	გარემოს დაცვითი რისკები		მოკლე აღწერა
		კი	არა	
				<p>ქვაბულის ამოღებას, ამოღებულ ქვაბულში განთავსდება ანძის სამირკვლები და ქვაბული შეივსება ადგილობრივი გრუნტით. ზედმეტი გრუნტი გამოყენებული იქნება, როგორც შესავსებად, ასევე ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარებისთვის, შესაბამისად, არ გახდება საჭირო გრუნტის სანაყაროების მოწყობა. რაც შეეხება ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული, ის მთლიანად იქნება გამოყენებული რეკულტივაციისთვის, ხოლო მშენებლობის პერიოდში მისი შენახვა მოხდება საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად (დადგენილება 424). მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მცირე რაოდენობის განკარგვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და ნარჩენების მართვის პრინციპების სრული დაცვით.</p> <p>ექსპლუატაციის ეტაპზე არ ხდება რაიმე სახის ნარჩენების წარმოქმნა.</p> <p>მთელი პროექტისათვის მომზადებულია ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც დეტალურად არის დახასიათებული მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობა და მისი განკარგვის პრინციპები, შეგროვება, მინიმიზაცია, შენახვა და კონტრაქტორებისთვის გადაცემა. შემოთავაზებული ცვლილების შედეგად, ადრე აღწერილი ნარჩენების რაოდენობის ცვლილებას ადგილი არ ექნება.</p>
1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური		+	<p>შემოთავაზებული ცვლილების შედეგად გარემოს დაბინძურებისა და ხმაურის დონეების მატება მოსალოდნელი არ არის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული პრაქტიკულად მცირდება იმის გამო რომ თვითონ ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე, ასევე ანძების რაოდენობა, მისასვლელი გზების სიგრძე და ა.შ. მცირდება, სავარაუდოა, რომ დაბინძურების დონე უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდეს. რაც შეეხება მოსახლეობას, პროექტით გათვალისწინებულია ეგზ-ებისთვის დადგენილი დაცვის ზონების სრულად დაცვა, რაც მოსახლეობაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით არის დადგენილი.</p>

	საქმიანობის მახასიათებლები:	გარემოს დაცვითი რისკები		მოკლე აღწერა
		კი	არა	
				რაც შეეხება გარემოს სხვა კომპონენტების დაბინძურებას, ზემოქმედების სახე არ იცვლება, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დაბინძურების რისკები პრაქტიკულად არ იცვლება.
1.5	აქტივობებთან დაკავშირებული ფართომასშტაბიანი უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების რისკები		+	<p>პროექტის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ფართომასშტაბიანი რისკების მოხდენის საშიშროება პრაქტიკულად არ არსებობს, შეცვლილი უბანი გადის ნაკლებად მთავორიან რელიეფზე, სადაც რისკ-ფაქტორები გაცილებით დაბალია მთიან ფერდობებთან შედარებით, დერეფანში განხორციელებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და რაიმე რისკის შემცველი ზონები არ არის დადგენილი.</p> <p>დაბალ ზონაში ასევე ნაკლებია კლიმატური რისკ-ფაქტორები, შესაბამისად, ტექნოგენური ავარიების რისკიც ნაკლები იქნება შეცვლილი მონაკვეთის შემთხვევაში.</p> <p>ზოგადად, შეცვლილ მონაკვეთთან დაკავშირებული რისკები უფრო დაბალია, საბაზისო პროექტის შემთხვევაში განხილულ რისკებთან შედარებით.</p>
2.0. პროექტის ადგილმდებარეობა და მისი თავსებადობა				
2.1	ჭარბტენიანი ტერიტორიები		+	შემოთავაზებული პროექტის არეალში არ ფიქსირდება ჭარბტენიანი ტერიტორიები. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია არ იქონიებს ზემოქმედებას ჭარბტენიან ტერიტორიებზე.
2.2	მჭიდრო ტყეების ტერიტორიები საქართველოს წითელი წიგნის სახეობებით		+	<p>შემოთავაზებული შეცვლილი მარშრუტის შემთხვევაში ზემოქმედება ტყით დაფარულ ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად მცირდება, ასევე მცირდება ფართობი, სადაც უნდა განხორციელდეს ხეების ჭრა ელექტროგადამცემი ხაზის უსაფრთხოების დერეფნის მოსაწყობად. საბაზისო პროექტის მარშრუტის გასწვრივ აღწერილია წითელი ნუსხით დაცული 10 სახეობა. მათზე ზემოქმედება მნიშვნელოვნად შემცირდება, თუ გავითვალისწინებთ რომ ტყით დაფარული მონაკვეთებიდან ელექტროგადამცემი ხაზი გადატანილი იქნება უკვე ათვისებულ ზონაში, სადაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სამოვრებია.</p>

	საქმიანობის მახასიათებლები:	გარემოს დაცვითი რისკები		მოკლე აღწერა
		კი	არა	
				<p>პროექტის შეცვლილ დერეფანში, ბუნებრივი გარემოდან ამოღებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების რაოდენობა აღნიშნულ მონაკვეთში მნიშვნელოვნად შემცირდება, ან ჭრა საერთოდ არ გახდება საჭირო.</p> <p>ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია მცენარეების სანიტარული ჭრის ან გადაბეღვის სამუშაოები, თუმცა მათი მოცულობა შეცვლილ მონაკვეთში მნიშვნელოვნად ნაკლებია საბაზისო პროექტთან შედარებით.</p>
2.3	დაცული ტერიტორიები		+	<p>პროექტის შეცვლილი მონაკვეთი გადის ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, შესაბამისად, შეცვლილი პროექტის შემთხვევაში, დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. რაც შეეხება ზურმუხტის ქსელით დაცულ ტერიტორიებს (სამეგრელო 1 და სამეგრელო 2), საბაზისო პროექტი გადიოდა დაცული ტერიტორიის საზღვართან, ცვლილებების შედეგად, ელექტროგადამცემი ხაზი დაცული ტერიტორიის საზღვარს მნიშვნელოვნად მოსცილდება.</p>
2.4	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		+	<p>საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ზემოქმედება დასახლებულ ტერიტორიებზე იცვლება, თუმცა შეცვლილი დერეფანი არ გადის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე. ხაზის დაპროექტებისას გათვალისწინებული იყო დასახლებებზე ზემოქმედების მინიმიზაციის მოთხოვნები, ასევე გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მოთხოვნები, რომ ხაზს არ გადაეკვეთა დასახლებული ტერიტორია და მათ მიერ მითითებული ადგილები.</p>
2.5	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა ობიექტები		+	<p>პროექტის განხორციელების დერეფანში არ არის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის რეესტრში შესული ძეგლები. დერეფანი არ ფარავს არც ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალური ან ფიზიკური ზემოქმედების არეალს. შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენებით გამოწვეული რისკები კი</p>

	საქმიანობის მახასიათებ- ლები:	გარემოს დაცვი- თი რისკები		მოკლე აღწერა
		კი	არა	
				დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებით.
3.0. პოტენციური ზემოქმედება				
3.1	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება		+	პროექტის განხორციელების შედეგად ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. უახლოეს საზღვრამდე მანძილი აღემატება 70 კილომეტრს, რაც გაცილებით აღემატება პროექტის ზემოქმედების არეალს.
3.2	ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა		+	პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების არეალის ცვლილება და ზემოქმედების კომპლექსურობა არ იცვლება, გარკვეულწილად ხდება რთული მთიანი რელიეფის გვერდის ავლა და პროექტის შესწორებული ვარიანტი ძირითადად, ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და საძოვრების კვეთას.

4. დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშში აღწერილია ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის 13.5 კმ-იანი მონაკვეთის ცვლილებებს, რომლებიც განხორციელდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თხოვნის გათვალისწინებით. კერძოდ ცვლილება შეეხება სოფელი ბაღდის მიმდებარე მონაკვეთს, სადაც საბაზისო პროექტი ითვალისწინებდა ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობას მთაგორიან რელიეფზე, რომელიც ტყის მასივებით არის დაფარული. საბაზისო პროექტის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზი გაივლიდა ბაღდის კანიონის მონაკვეთს, სადაც არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პოტენციალი, ასევე ხაზის მცირე მონაკვეთი გადიოდა სოფლის დასახლებულ უბანში.

შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისად ელექტროგადამცემი ხაზი გადატანილია სასოფლო სამეურნეო მიწებზე, და გაივლის მეორადი ლანდშაფტებისა და სასოფლო სამეურნეო სავარგულების ტერიტორიებს. შესაბამისად მცირდება ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე, კერძოდ ტყით დაფარულ უბნებზე; ცვლილების შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება ბუნებრივ ლანდშაფტებში მისასვლელი გზებისა და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო ტყის მასივების გაჩეხვის საჭიროება. ასევე პრაქტიკულად თავიდან იქნება აცილებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენციალის მქონე უბნებზე ზემოქმედება და ზოგადად ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება.

პარალელურად მნიშვნელოვნად იზრდება ზემოქმედება სოციალურ გარემოზე, კერძოდ სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, კერძო მიწის ნაკვეთებზე. ასევე იზრდება არანებაყოფლობითი განსახლებისა და კერძო საკუთრების კომპენსირების საჭიროება, რაც პროექტისათვის შემუშავებული განსახლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდება. აღნიშნული განსახლებისა და საცხოვრებელი გარემოს აღდგენა/კომპენსირების პრინციპები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს.

როგორც წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის ტექსტურ ნაწილშია აღნიშნული, შემოთავაზებული ცვლილების შედეგად არ არის მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება, არ იზრდება ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარისხი არ ხდება მიწის, წყლის ან სხვა რესურსების გამოყენების მოცულობები. განხორციელებული ცვლილების შედეგად არ ხდება ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობების ზრდა, არ იზრდება გარემოს დაბინძურების ხარისხი. რაც შეეხება ავარიების რისკებს, და მათზე რეაგირების შესაძლებლობა, ის პირიქით მცირდება ხაზის დერეფნის გაცილებით ადვილი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.


ცვლილების შედეგად არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებზე,

მნიშვნელოვნად მცირდება ტყის მასივებზე ზემოქმედების ხარისხი, შესაბამისად მცირდება მოსალოდნელი ზემოქმედება საქართველოს და საერთაშორისო წითელი ნუსხით დაცულ სახეობებზე. შეცვლილი მონაკვეთი გაცილებით შორს არის დაცული ტერიტორიებიდან, შესაბამისად ზემოქმედება პრაქტიკულად არ არის მოსალოდნელი.


ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული ცვლილების შედეგად, ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა ამავე დროს იზრდება ზემოქმედება სოციალურ სფეროზე.


დანართები:

დანართი 1: შემოთავაზებული პროექტის დეტალური ტოპოგრაფიული რუკა











დანართი 2: შეიპ ფაილი (.shp), ელექტრონულ ფორმატში;